ნუთუ არ მოგიყვეთ ამბავი დაჯჯალზე, რომლის მსგავსი არც ერთ შუამავალს არ უთქვამს თავისი ხალხისთვის? ნამდვილად, ის იქნება ცალთვალა და მას თან ექნება ბაღის (სამოთხის) და ჯოჯოხეთის

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ნუთუ არ მოგიყვეთ ამბავი დაჯჯალზე, რომლის მსგავსი არც ერთ შუამავალს არ უთქვამს თავისი ხალხისთვის? ნამდვილად, ის იქნება ცალთვალა და მას თან ექნება ბაღის (სამოთხის) და ჯოჯოხეთის მსგავსი რამ. რასაც ის სამოთხედ უწოდებს, სინამდვილეში იქნება ცეცხლი. მე გაფრთხილებთ მასზე, როგორც ნუჰმა (ნოემ) გააფრთხილა თავისი ხალხი»

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უყვებოდა თავის საჰაბებს დაჯჯალის თვისებებისა და ნიშნების შესახებ, ისეთ დეტალებზე, რაც არცერთ წინასწარმეტყველს ადრე არ უთქვამს. ერთ-ერთი ასეთი ნიშანი არის: რომ არის ცალთვალა (ან თვალის სხვა დეფექტით). და რომ უზენაესი ალლაჰი მასთან ერთად შექმნის სამოთხისა და ჯოჯოხეთის მსგავსს, ადამიანური თვალის აღქმის მიხედვით. მაგრამ მისი „სამოთხე“ სინამდვილეში ჯოჯოხეთია, ხოლო მისი „ჯოჯოხეთი“ — სამოთხე. ვინც მას დაემორჩილება, ის, თითქოს, ამ „სამოთხეში“ შეიყვანს, მაგრამ ეს იქნება დამწველი ცეცხლი. ხოლო ვინც მის წინააღმდეგ წავა, ის „ჯოჯოხეთში“ შეიყვანს, როგორც ეს ხალხს მოეჩვენება, თუმცა სინამდვილეში ეს იქნება სასიამოვნო სამოთხე. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გაგვაფრთხილა დაჯჯალის ცდუნებების(ფითნის) შესახებ, ისე, როგორც ნოემ გააფრთხილა თავისი ხალხი.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3110